ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №528635

ნომერი: AR1106382

თარიღი : 31.01.2013

გაცემის თარიღი : 01.02.2013

გაცნობის თარიღი : 04.02.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 18/რუსთაველის გამზირი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01024017635
- თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 9

ორგანიზაცია:
- შპს მაგთი კოდი: 204873645

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი, 2013 წლის 31 იანვრის #1106382 განცხადება სადაც ითხოვთ 01.08.2012 წლის #291078 აქტში ცვლილების განხორციელებას, კერძოდ: კალენდარული გრაფიკში სამშენებლო ქვაბულიდან ზედმეტი გრუნტის და სამშენებლო ნაგვის გატანის და ქვაბულის ძირის მოშანდაკების ეტაპის დამატებას.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ გაცემულ იქნა 01.08.2012 წ. #291078 ბრძანებით წერილობითი დასტური არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟის საკითხთან დაკავშირებით. ” მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და ასევე ამ დადგენილების 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების გრაფიკი მშენებლო-ბის ეტაპების გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს სამშენებლო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს.
აქვე გაცნობებთ, რომ დავით გაჩეჩილაძის 01.08.2012 წ. #AR170536 განცხადებას თან ერთვოდა მშენებლობის განხორციელების გრაფიკი მშენებლო-ბის ეტაპების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავდა ქვაბულიდან ზედმეტი გრუნტის, სამშენებლო ნაგვის გატანასა და ქვაბულის ძირის მოშანდაკების ეტაპებს. ამდენად, აღნიშნული სამუშაოების განხორციელება არ საჭიროებს სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში არც ცვლილების შეტანასა და არც დამატებით წერილობით